ფასი 40 კაპ.

წელიწადი პირველი

# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 7 ხუთშაბათი, 1 აგვისტო 1918 წ. № 7

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—182.

## განკარგულება
### სახალხო განათლების მინისტრისა.

1918 წ. ივლისის 26, № 876 სწავლის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ 1918/9 წ. ივნისამდე.

სასწავლო წელი ყველა ტიპის სასწავლებელში დაიწყოს მიმდინარე წლის 20 სექტემბერს და გაგრძელდეს 1919 წლის 20 ივნისამდე.

სახალხო განათლების მინისტრი: გ. ლასხიშვილი.
დედანთან სწორია
საქმისმწარმოებელი: ი. ხარაძე.

3—3

## განცხადება
### საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

№ 1.

22 ივლისი, 1918 წ. ქ. თბილისი. საქართველოს ჯარების საველე შტაბი სამხედრო მოსამსახურეების საყურადღებოდ აცხადებს, რომ ამა წლის ივლისის 22 სამხედრო გიმნაზიაში (კადეტთა კორპუსის ყოფილი სასწავლებელი) გაიხსნა ქართული ენის ორ-თვიანი კურსები (წერა, კითხვა საქართველოს ისტორია და ლიტერატურა) გამოცდილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით. კურსებზე ჩაწერა შეიძლება ყოველდღე 7—9 საათამდე სამხედრო გიმნაზიის შენობაში, კურსების გამგესთან პოდპორ. ბ. ლეჟავასთან.

გადასახადი სულ 100 მანეთია, აქედან 50 მან. შეტანილი უნდა იქნეს ჩაწერისთანავე, 25 მან. 1 აგვისტოს და 25 მან. 20 აგვისტოს.

ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის ჯარების შტაბის მორიგი გენერალი პოლკოვნიკი კაკაბაძე. 5—2.

## ფინანსთა სამინისტროს კანცელარია

წინადადებას აძლევს ყველა საკრედიტო დაწესებულებათ (სააქციონერო ბანკები, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის, «ბანკირების» კონტორები, საურთიერთო ნდობის საზოგადოებები, ქალაქის საზოგადო ბანკები, საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები, ლომბარდები და სხვ), რომელნიც იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო განყოფილებაში თავიანთი წესდებები და მისამართი, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იქმნას ყოველ თვიურად ბალანსი, დაწყებული ამა წლის 1 ივნისიდან.

კანცელარიის დირექტორის თანამდებობის დროებითი ამსრულებელი დ. აფხაზი.

29 ივლისი, 1917 წ. № 950/234.

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი
(25 წლის ნაშრომი)

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ, მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემა, უკვე დაიბეჭდა და გამოვიდა. შეიცავს 1,100 გვ., აწყობილ-დაბეჭდილია კორპუსით, უშპონოდ, კარგს ქაღალდზე, დართული აქვს უცხო ანდაზა-წინადადებანი, საუცხოო ყდით (უყდოთაც არის). ხელის მომწერთ გვაცნობონ თვისსი მისამართები. წიგნი გასასყიდადაც მოიპოვება. მსურველთ მიმართონ „თეატრი და ცხოვრება-ს რედაქციაში (თბილისი, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, მეწიგნეების რიგზე, ბაზრის ქ. № 20, სახ. არჯევანიძისა). (5—2)

ქალთა და ვაჟთა გიმნაზია ა. გ. თევზაძისა

ქსენიას ქუჩა № 11.

გიმნაზიის ყოველივე უფლებებით. ახალი ტიპის, 4 წლის განმავლობაში 8 კლასის კურსი. მიიღება თხოვნები ყველა კლასებისთვის. ქართველთათვის ქართული ენა, ისტორია და ლიტერატურა სავალდებულოა. მეცადინეობა სადამოობით. მოწაფეები მიიღებიან ეროვნებათა დაწლოვანებათა განურჩევლათ კლასების სათანადო მოწმობით; ვისაც მოწმობები არ აქვს—გამოცდით. მე 5-თე კლასში მიიღება უმაღლეს პირველ დაწყებითი სწავლა დამთავრებულები. გამოცდა და განმეორებითი გამოცდები დაიწყება 26 აგვისტოს (ახ. სტ.) კანცელარია ღიაა 4 საათიდან 8 საათამდე.

გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინა.

## ოფიციალური განყოფილება

### კანონი

ოფიციალურ განცხადებათა დაბეჭდვისა.

1. ყველა იმ შემთხვევაში, როცა რუსეთის კანონების ძალით ან რუსეთის მთავრობისაგან დამტკიცებულ წესდებათა მიხედვით, რომელიმე ოფიციალური განცხადება უნდა დაბეჭდილიყო სენატის უწყებასა ან განცხადებაში, მთავრობის მოამბეში, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მოამბეში, პეტროგრადის ან მოსკოვის უწყებაში,—ასეთი განცხადებანი დაიბეჭდოს, თუ ეს შეეხება საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში აღძრულ საქმეებს,—საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ ორგანში, „საქართველოს რესპუბლიკაში“, რომელიც თბილისში გამოდის.

2. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან მიღებისა ეროვნულ საბჭოს მიერ.

26 ივლისი, 1918 წ.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

### კანონი

გზათა სამინისტროსათვის ავანსად ერთი მილიონი მანეთის მიცემისა შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის სალიკვიდაციო ხარჯების გასასწორებლად.

1. მიეცეს გზათა სამინისტროს სახელმწიფოს თანხიდან ავანსად ერთი მილიონი მანეთი შავიზღვის სანაპირო რკინის გზის მოსამსახურეთა და მუშათა დასაკმაყოფილებლად და სხვა სალიკვიდაციო ხარჯების გასასწორებლად. ლიკვიდაცია უნდა მოხდეს საზოგადო წესით.

26 ივლისი, 1918 წ.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

### ინსტრუქცია

შტატს გარეშე დარჩენილთა დაკმაყოფილებისა 5 ივლისის კანონის სისრულეში მოყვანის შესახებ.

1. დროებით, სანამ სახელმწიფოს ფინანსიური მხარე მოწესრიგდებოდეს, სულ ყველა იმ პირთ, რომელთაც უნდა მიეცეს განსაკუთრებული თანხა—უნდა დაკმაყოფილდნენ სახელმწიფო ხაზინიდან იმის და მიხედვით თუ რამდენია ნაღდი თანხა ხაზინაში შემდეგი პირობების დაცვით:

2. ყველა იმ პირთ, რომელნიც მიდიან ამიერ-კავკასიის საზღვრებიდან, უნდა მიეცეს: ოჯახიანს—1000 მან. და უოჯახოს—500 მან. დანარჩენი ფული, რომელიც ამათ ერგებათ უნდა გადაგზავნილი იქმნას ფოსტით იმ ადგილებში, ამიერ-კავკასიის საზღვრებს გარედ, რომელნიც ნაჩვენები იქნება ფულის მესაკუთრის მიერ ან და უკანასკნელთ მიეცემათ მოწმობა-კრედიტორობის.

3. იმათ-კი ვინც დარჩება ამიერ-კავკასიის საზღვრებში მიეცემა ფულად: ოჯახიანს—500 მან., უოჯახოს—250 მან., დანარჩენ ფულზედ ისინი მიიღებენ კრედიტორობის მოწმობას.

### კანონი

მთავრობის განკარგულებაში გადადებული ათი მილიონის ფონდის შევსებისა.

1 ათი მილიონის ფონდიდან, რომელიც გადაიდო მთავრობის განკარგულებაში ამიერ-კავკასიის სეიმის მაისის 2-ის დადგენილებით 422. 552 მან და 44 კ. განაწილება კრედიტებად უწყებათა შორის ამიერ-კავკასიის მთავრობისა და შემდეგ საქართველოს მთავრობის მიერ მაისის 2-დან ვიდრე ივნისის 27-დე დამტკიცებულ იქნეს.

2. აღდგენილ იქნეს ხაზინის თავისუფალი თანხიდან ათი მილიონის ფონდი უკვე განაწილებული ზემოხსენებული თანხის (7. 422. 552 მან. და 44 კ.) გაღებით.

3. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან მიღებისა ეროვნულ საბჭოს მიერ.

1918 წ. ივლისის 30.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელი ნ. რამიშვილი.

### კანონი

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან განსაკუთრებული რაზმის დაარსებისა კონტრ-რევოლუციის, სპეკულიაციის და მძარცველობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1. დაარსდეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ექვსი თვის ვადით, განსაკუთრებული რაზმი კონტრ-რევოლიუციის, სპეკულიაციის და მძარცველობის წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თანახმად ამ კანონთან დართული შტატისა.

2. ხსენებული რაზმი მოქმედებს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ შემუშავებული ინსტრუქციის თანახმად.

3. ამ რაზმისთვის საჭირო თანხა 240.000 მან. გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან.

4. ეს კანონი ძალაში შედის ამა 1918 წლის ივლისის პირველიდან 1918 წ. ივლისის 30.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელი ნ. რამიშვილი.

## შტატი

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან განსაკუთრებული რაზმის დაარსებისა კონტრ-რევოლიუციის, სპეკულიაციის და მძარცველობის წინაალმდეგ საბრძოლველად.

| | რიცხვი თანამდებობისა. | ჯამაგირი. თითოს. | თვეში. ყველას. | ექვსი თვისა. |
|---|---|---|---|---|
| რაზმის უფროსი. . . | 1 | 900 | 900 | 6400 |
| იმის თანაშემწე . . | 2 | 800 | 1600 | 9600 |
| თანამშრომელი: | | | | |
| ა) უფროსი. . . . | 20 | 500 | 10000 | 60000 |
| ბ) უმცროსი. . . . | 40 | 450 | 18000 | 108000 |
| შიკრიკთათვის (აგენტურისთვის) . . | — | — | — | 30000 |
| კანცელარიის, შენობის დასაქირავებელი და მცველთა ხარჯი. . . . | — | — | — | 15000 |
| საგზაო ხარჯი . . | — | — | — | 12000 |
| სულ . . | 63 | — | — | 240000 |

1918 წ. ივლისის 30.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანამდეობის აღმასრულებელი ნ. რამიშვილი.

## კანონი

ამიერ-კავკასიის გამმიჯვნელ დაწესებულებათა გარდაცემისა მიწადმოქმედების სამინისტროს უწყებაში, ხოლო მიწისმზომელთა სკოლისა სახალხო განათლების უწყებაში.

1. გადაეცეს მიწადმოქმედების სამინისტროს უწყებას ყველა ამიერ-კავკასიის გამმიჯვნელი დაწესებულება, ხოლო თბილისის მიწისმზომელთა სკოლა—სახალხო განათლების სამინისტროს, ყოველი ინვენტარით და კრედიტებით, რომელიც გადადებული იყო იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვით.

1918 წ. ივლისის 30.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მავრობის თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელი ნ. რამიშვილი.

## ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრისა.

29 ივლისი, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 212.

დაშვებულია კოსტანტინე ირაკლის ძე კალანდარიშვილი თბილისის გუბერნიის კომისრის თანაშემწის მოვალეობის აღსასრულებლად.

ი ნ ი შ ნ ე ბ ი ა ნ: თბილისის მაზრის კომისრად იოსებ გომართელი, დუშეთისა—პოლიკარპე ლანდია.

განთავისუფლებულია თბილისის გუბერნიის კომისრის თანაშემწის მოვალეობიდან თბილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრი, საქმის მწარმოებელი მაქსიმილიან მისენკო, რომელიც დროებით იყო დაშვებული თბილისის გუბერნიის კომისრის თანაშემწის მოვალეობის აღსასრულებლად.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ა: სამაზრო კომისრობის თანამდებობიდან და სრულებით სამსახურიდან: თბილისის მაზრის კომისარი გიორგი ბერიძე, დუშეთის—დუმბაძე, თანხმად თხოვნისა.

შინაგან საქმეთა მინისტრი: ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი.

## არა ოფიციალური განყოფილება

თბილისი, 1 აგვისტო.

ვინც პირუთვნელათ დაუკვირდება ჩვენი რესპუბლიკის საერთო ცხოვრებას, იძულებულია აღიაროს, რომ მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებისა მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება.

პირველყოვლისა შინაურ ანარქიასა და შეთქმულება კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობს და ეს მთავარი საბუთია იმის, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი შეგნება და ორგანიზაცია იზრდება და ძლიერდება.

მართალია, ამ მხრით ჯერ კიდევ ერთობ ბევრი საკეთებელია, საყოველთაო ანარქიის ცეცხლის ერთბაშათ ჩანელება წარმოუდგენელია, მრავალ კუთხეში გამთახსირებელი უწესოება კიდევ პარპაშებს, დიდ ქალაქებში დაბუდებული კონტრ-რევოლიუციონერები, საქართველოს დამოუკიდებლობის განგმირვა რომ მუნდათ, სავსებით არ არიან დატუქსული და განდევნილი თავისუფლების საზღვრებიდან.

მაგრამ დღეს შეიძლება თამამათ ითქვას, რომ შინაურ არევ-დარევის საფრთხემ დაიკლო, თავაშვებული ანარქია გატეხილია. დარწმუნებული ვართ, ახლო მომავალში დარჩენილ მეამბოხეთა ბატონობა სამუდამოთ შეიმუსრება და შესაძლებელი გახდება დავიწყოთ ნორმალური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის პირობებში.

ცხადია, ამ ნორმალური წყობილების მოახლოვების და გამტკიცების მხრით ექნება მნიშვნელობა ჩვენს ზოგიერთ სამინისტროში ავსტრია-გერმანელ მრჩეველ ინსტრუქტორთა მოწვევას, რაც აიხსნება ხალხის ინტერესების სწორი შეგნებით და სახელმწიფოებრივი მოსაზრებით.

თუ შინაურ ფრონტზე უთუოდ დიდი გაუმჯობესება ეტყობა ჩვენს საერთო მდგომარეობას, იგივე ითქმის საგარეო ფრონტის ვითარებაზედაც.

საქართველოს რესპუბლიკის ჯარმა და სახალხო გვარდიამ ბრწყინვალეთ დაამარცხეს შემოსეული მტერი როგორც კავკავის, ისე ტუაპსის მიმართულებით და თავისუფალ საქართველოს საზღვრებიდან სამარცხვინოდ მოზღვავებული ბოლშევიკური ბრბოები შორს გადარეკეს.

ჩვენმა მთავრობამ იძულებული გახადა თერგის მთავრობა ეცნო და დაეკმაყოფილებინა უაღრესათ კანონიერი მოთხოვნა ბოლშევიკების მიერ ტყვედ წაყვანილ ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქეთა და დიდძალი გატაცებული ქონების დაბრუნების შესახებ ერთი მხრით და ბოლშევიკურ თავდასხმისაგან საქართველოს სამხედრო გზის საბოლოო გაწმენდის შესახებ მეორეს მხრივ. ამას ამტკიცებს საქართველოს და თერგის მთავრობებს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში.

უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ჯარის უკანასკნელმა გამარჯვებამ პირდაპირ იხსნა საქართველოს რესპუბლიკა ბოლშევიკურ დამონებისა და განადგურებისაგან. ამ გარემოებამ დაამტკიცა ჯარის მნიშვნელობა ჩვენი თავისუფლებისათვის, ამავე დროს ნათელჰყო ისიც, რომ ჩვენმა ჯარმა თავის ხანმოკლე არსებობის პირველი შავბნელი დღეები სამუდამოთ დაივიწყა, ორგანიზაციულათ და ზნეობრივათ ამაღლდა და უკანასკნელი ამბებით ქვეყანას დაუმტკიცა უზომო თავგანწირულება და შეურყეველი ერთგულება რესპუბლიკანურ სამშობლოსადმი. ცხადია, ამას განსაკუთრებული ანგარიში გაეწევა როგორც შინაურ, ისე საგარეო ურთიერთობაში.

ისეთ საერთაშორისო პირობებში უხდება ახალი სახელმწიფოებრივი ცოვრება საქართველოს, რომ შეუძლებელია მისი თავისუფლების უზრუნველ-ყოფა უჯაროთ. ჩვენი ჯარი ჯერ კიდევ ძალიან სუსტია. მას ნამდვილი ორგანიზაციული საფუძვლები მხოლოდ ახლა ეყრება. ეროვნულმა საბჭომ და რესპუბლიკის მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ, დიდი ძალა და განსაკუთრებული ენერგია უნდა დახარჯონ საქართველოს ნამდვილ რესპუბლიკანურ ჯარის შესადგენლად.

დეე ყველა მტერ-მოყვარემ იცოდეს, რომ ჩვენი რესპუბლიკის თავისუფლებას არავის გავათელვინებთ, საქართველოს დამოუკიდებლობას და დემოკრატიის საქმეს მტლად დავედებით.

ჩვენ იმპერიალიზმს არ ვაწარმოებთ, ჩვენ მხოლოთ ვიცავთ საქართველოს საზღვრებს, რომელიც ამავე დროს თავისუფლების და დემოკრატიის საზღვრებია. ამით ჩვენ ვიცავთ აგრეთვე რევოლიუციის ყველა მონაპოვართ და საერთაშორისო დემოკრატიის ინტერესებს. გასრესა და მოსპობა დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკისა მოასწავებდა მთელ ამიერ-კავკასიის საერთაშორისო დემოკრატიის საქმის დამარცხებას.

ეს კარგათ უნდა ახსოვდეს ამიერ-კავკასიის ყველა ერს და მათ დემოკრატიას!

## საქართველოს ეროვნული საბჭო

მკათათვის 26 სხდომა

გაგრძელება *).

რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. თუ ჩვენ შევხედავთ ამ უკანონო ინსტრუქციას სახელმწიფოს და კანონიერების თვალსაზრისით დავინახავთ, რომ იგი არის ყოველგვარ კანონების დარღვევა.

ეს არის გაცილებით უარესი იმ ჟანდარმერიაზე, რომელიც არსებობდა რუსეთის იმპერიაში.

შეიძლება დაგვამშვიდონ იმით, რომ არ შეიძლება დემოკრატიულ სახელმწიფოში ასეთი რამ მოხდესო, დემოკრატიული სახელმწიფო ჟანდარმერიას არ დააწესებსო, მაგრამ გარწმუნებთ, ბატონებო, რომ ჩვენ დიდ უკანონობას ჩავიდენთ თუ მივიღებთ ამ კანონ-პროექტს, რადგან იგი სპობს ყოველგვარ კანონიერებას. ბატონეთ, მესამე მუხლი ამ კანონ-პროექტისა აძლევს უფლებას რაზმის ყოველ წევრს, რომ მან ჩაიდინოს პირდაპირი ბოროტ-მოქმედება, კანონი ანიჭებს ამის უფლებას და ყოველივე ძალა ვის ხელშიაც არ უნდა იყოს ის, თუ იგი ასეთ თავისუფლებით აღჭურვეთ, ბოროტად გამოიყენებს ამ უფლებას, ამასთან რაზმის ყოველივე წევრს საშუალება ეძლევა ჩაიდინოს პირდაპირ ბოროტმოქმედება იმდენად, რამდენადაც მისი პირადი შეხედულებით ესა თუ ის მოქმედება წარმოადგენს სპეკულიაციას. არსებობს სხვა და სხვა გვარი სპეკულიაცია, და ამიტომ რაზმის ყოველივე წევრის ასეთი განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვა გამოიწვევს დიდ არევ-დარევას. განა ყველა კანონ-პროექტებს საბახტარაშვილს ჩააბარებენ, რომ იმან შესაფერი გავლენა იქონიოს მის ხელქვეითებზე კანონ-პროექტის ასრულების დროს.

როცა განსაზღვრული არ არის ამა თუ იმ პირის მოქმედება, ისე ის პირი არ მოქმედობს ისე, როგორც საჭიროა. ბატონებო, თქვენ გგონიათ, რომ რაკი რაღაც საგანგებო რაზმს შექმნით, ეს რაზმი რაღაც საგანგებო საქმეს ჩაიდენს. პირიქით გარწმუნებთ, ბატონებო, რომ თქვენი საგანგებო რაზმები პირიქით სრულებით ვერ აასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ეს დაგიმტკიცათ თუნდაც იმ საგანგებო რაზმმა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ბათუმის დაცვა, და რომლის ხელმძღვანელობა ჩაბარებული ჰქონდა არა ჯარის საგანგებო ხელმძღვანელს, სამხედრო პირს, არამედ ქალაქის თავს.

ეს საკმარისი არ არის, რომ იმის გამო, რაკი ჩვენ უნდა შევადგინოთ რაღაც საგანგებო რაზმი ამისათვის ყოველივე უწესოება, უკანონობა უნდა ჩავიდინოთ. ამიტომ ჩვენ სრულიად წინააღმდეგი ვართ, რომ ეს კანონი ასეთ ინსტრუქციით იყოს შეფერადებული. აქ შეიძლება გვითხრან ის ინსტრუქცია, რომელიც საბოლოოდ იქნება შემდგარი შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ—ასეთი არ იქნებაო, მაგრამ განა იმას კი ისევ შინაგან საქმეთა მინისტრი არ შეადგენს. ხსენებული რაზმი მოქმედობს იმ ინსტრუქციის თანახმად, რომელიც გამოცემულია ასეთ უკანონო წესით. ბატონი მინისტრი სოციალ-დემოკრატია და აღჭურვილი განსაკუთრებული უფლებით, მაგრამ ეს განსაკუთრებული უფლება მან უკანონობის დასამტკიცებლად არ უნდა გამოიყენოს.

ამიტომ მე მოვითხოვ, რომ ინსტრუქცია გადაცემულ იქნეს იურიდიულ კომისიაში და შემდეგ დაუბრუნდეს ეროვნულ საბჭოს. თუ ეს კანონ-პროექტი და განსაკუთრებით კი ეს ინსტრუქცია არ იქნა შეცვლილი და საბჭომ უცვლელად მიიღო, ეს იქნება უარესი, ვიდრე ჟანდარმერია. ამიტომ ჩემი წინადადება ასეთია: კანონ-პროექტი და ინსტრუქცია გადაეცეს ხელახალ განსახილველად და შესწორებლად იურიდიულ კომისიას, რომ მალე კვლავ წარმოსდგეს ეროვნულ საბჭოს წინაშე ეს საკითხი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. თქვენი წინადადება წერილობით შემოიტანეთ. სიტყვა ეკუთვნის შინაგან საქმეთა მინისტრს.

ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. მოქალაქენო, ხალხის წარმომადგენელნო! როცა მემარჯვენენი გამოდიან აქ, ისინი მუდამ აცხადებენ, რომ ჩვენ კრიტიკას სახელმწიფოებრივ თვალთსაზრისზე ვაშენებთო. რომელ სახელმწიფოებრივ თვალსაზრისზე არის დამყარებული ის შესწორება, რომელიც შემოიტანა ბატონმა რევაზ გაბაშვილმა? მან სთქვა, რომ ამ რაზმს „სახელმწიფოს ყოველგვარ დამარღვეველი ელემენტებთან საბრძოლველად შემდგარი რაზმი უწოდოთო“. ბატონი გაბაშვილი შეიძლება იურისტი არ იყოს, მაგრამ როგორც ეროვნულ საბჭოს წევრი ვალდებულია იცოდეს, რომ სახელმწიფოს ყოველგვარ დამრღვევ ელემენტებთან ბრძოლას ვერ დაავალებს მთავრობა ამ განსაკუთრებულ რაზმს, რადგან სახელმწიფოს დამრღვევ მიზეზებად ბევრი რამ შეიძლება ჩაითვალოს.

მაგალითათ ქურდობა: ეს დიდი სენი. ეს ბოროტმოქმედება მთლათ მოედო სახელმწ., როგორ ჰგონია ბ. გაბაშვილს, ამ რაზმს ევალება თუ არა ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლა? ეს ყოვლად შეუძლებელია. განსაკუთრებული რაზმი სდგება იმიტომ, რომ უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული დანიშნულება.

თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ „ამ კანონ-პროექტს ჩვენ დავინახავთ, რომ იგი არავითარ შესწორებას არ საჭიროებს. იგი შედგენილია განსაკუთოებულ მდგომარეობის მიხედვით; სწორედ კონტრეულიუცია და სპეკულიაცია, რომ ახასიათებს დღევანდელ მდგომარეობას. ბევრს შეიძლება გაუკვირდეს: თუ რა აქვს საერთო კონტრ-რევოლიუციას სპეკულიაციასთან. მაგრამ მე გადჭრილათ უნდა განვაცხადო, რომ ფაქტიურად სპეკულიაცია დაკავშირებულია კონტრ-რეოლიუციასთან. ჩვენ არ ვლაპარაკობთ ყოველგვარ სპეკულიაციის შესახებ— ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ყოვლად შეუძლებელია ყოველგვარ სპეკულიაციასთან ბრძოლა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს განსაკუთრებულ სპეკულიაციასთან, ეს სპეკულიაცია დაკავშირებულია კავკასიის ყოფილ ფრონტის ქონებასთან. ამ ქონების გარშემო სწარმოებს სპეკულიაცია. სპეკულიაციას კი აწარმოებენ სწორედ კონტრ-რევოლიუციონ. რომ დამთავრებული იყოს გამოძიება, მე დავასახელებდი რამდენიმე კონტრ-რევ. გენერალს, რომელიც ამავე დროს თავაშვებულ სპეკულაციას აწარმოებს. გამოძიება დამთავრდება და როდესაც ჩვენ მათ წინააღმდეგ განსაკუნრებულ ზომებს მივმართავთ, მაშინ თქვენ ეს გაგიხარდებათ.

ბატონმა გაბაშვილმა ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის სახელით წინადადება შემოიტანა შეუცვალოთ სათაური ამ კანონ-პროექტსო, მაგრამ ეროვული საბჭო ჩვენ დაგვეთანხმება, რომ ამით საქმე არ კეთდება. რაც შეეხება ინსტრუქციის შესახებ შემოტანილ გაბაშვილის წინადადებას, მე უნდა მოვახსენო გაბაშვილს, რომ ინსტრუქციას არ ამტკიცებს პარლამენტი. თვით ის, რაც აქ წაიკითხა გაბაშვილმა იყო მხოლოდ პროექტი ინსტრუქციისა. ამაშიაც ორი დიდი შეცდომა იყო; პროექტში გამოტოვებულია, რომ რაზმის ესა თუ ის წევრი მოქმედობს „по ордерамъ Министра Внутреннихъ дѣлъ.“

თუ კითხულობთ “ვოზრაჟდენიე“ ეს იყო გასწორებული მეორე დღესვე. ამასთან მესამე მუხლში უნდა ეწეროს: обыски и высилки და высилки высилки შეცდომით იყო. გადასახლების უფლებაზე ამასთან აქ არ არის ლაპარაკი. ამასთან რაზმის ესა თუ ის თანამშრომელი თავის შეხედულებისამებრ კი არ მოქმედობს, არამედ პირდაპირ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით. აქ იყო მხოლოდ გაჩხრეკის შესახებ. არის ზოგიერთი შემთხვევა, როცა ეს გაჩხრეკა საჭირო იქნება შინაგან საქმეთა მინისტრის დირექტივების თანახმად.

მე არ მესმის საერთოდ პოზიცია ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისა. საერთოდ ის მხარს უჭერს კანონ-პროექტს, რადგან იგი სართოდ მისაღებიაო. მაგრამ ეს კანონ-პროექტი ცუდათ არის შედგენილი და ჟანდარმერიაზე უარესია, რადგან ვაარსებთ განსაკუთრებულ რაზმს და ისეთ უფლებას ვაძლევთ იმ რაზმის წევრებს, რომ ამით ჩვენ ვსპობთ ყოველივე კონსტიტუციურ გარანტიებსო.

მე უნდა განვაცხადო, რომ რაზმის მიზანი არის: განამტკიცოს კონსტიტუციური გარანტიები და იგი სრულებითაც არ დაარღვევს ამ კონსტიტუციურ გარანტიებს. ეს კონტრ-რევოლიუციის და სპეკულიაციის წინააღმდეგ მებრძოლი რაზმი უმეტეს ნაწილად შესდგება სულ სხვა-და-სხვა ძველ სანდო პირთაგან, და აი მე თქვენ გეკითხებით, თუ ასეთია მდგომარეობა, მოითხოვს თუ არა იგი ჩვენგან განსაკუთრებულ ზომების მიღებას, განსაკუთრებულ რაზმის დაარსებას. სწორედ იმიტომ, რომ განვამტკიცოთ ჩვენი თავისუფლება, ასეთი მდგომარეობა მოითხოვს განსაკუთრებულ ზომების მიღებას, ამას მხარს დაუჭერს ყველა. ამის წინააღმდეგი იქნება მხოლოდ ის არა კე-

*) იხ. საქართველოს რესპუბლიკა № 6.

თილ-სინდისიერი მოქალაქე, რომლისთვისაც სასარგებლო იქნება ის საშინელი და ამ რესპუბლიკისათვის მეტის-მეტად სავალალო მოვლენა, რომელიც გამოიხატება სპეკულიაციასა და კონტრ-რევოლიუციაში. განსაკუთრებული ზომების მიღება აუცილებელია ამ განსაკუთრებით მეტად მძიმე მომენტში.

ა ლ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე (ს.-დ.) მოქალაქენო, საბჭოს წევრნო! გაბაშვილის გამოსვლა აქ რაღაც სხვა ხასიათისა იყო დღეს. ერთის მხრივ გაბაშვილს ძალიან უნდა არსებობდეს ასეთი რაზმი, მეორე მხრივ არ უნდა. თითქოს რაღაცის ეშინიან. მე მაგონდება ერთი ქართული ანდაზა: „თუ პილპილი არ გიჭამია, ტუჩები რად გეწვისო". თუ ასე არ არის რა საჭირო იყო იმის თქმა, რომ სათაური შევცვალოთო. განა სათაურის შეცვლით თვით კანონ-პროექტი შეიცვლება? მაგრამ აქ არის ერთი სიმპტომატიური მოვლენა. კანონ-პროექტში ლაპარაკია კონტრ-რევოლიუციაზე. აი ამ სიტყვამ, „კონტრ-რევოლიუციამ" საშინლად შეაშინა ჩვენი ნაციონალ-დემოკრატები. (მარჯვნივ სიცილი, რ. გაბაშვილი: საშინლად. გ. ვეშაპელი: ჯულაშვილს ჰკითხეთ, ვინ არის კონტრ-რევოლიუციონერი!). ჯულაშვილს ჩვენ არ ვკითხავთ. ჩვენც ვიცით თუ ვინ არის კონტრ-რევოლიუციონერი. მთავარი მიზეზი კანონ-პროექტისა სწორედ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლა არის, ჩემში ეს ცნებები განუყრელია: კონტრ-რევოლიუცია, სპეკულიაცია და ცარცვა-გლეჯა—ერთ და იმავე მიზანს ემსახურება. დღეს ყველა კონტრ-რევოლიუციონერი დაინტერესებულია იმაში, რომ როგორმე შექმნას ანარქია, აჯანყება და ამით საფრთხე განუმზადონ ხალხს. თუ ამის თქმა გინდათ, თქვენ შეიძლება ჩვენც გვყავდეთ სახეში. როგორც გადმომცეს თვით კომისიაშიც თქვენს წარმომადგენლებს სწორედ ასე დაუსვიათ კითხვა: რაზმელები ყველას მოჰკიდებენ ხელს. ქართველი იქნება ის თუ უცხოელიო. დიახ, ბატონებო! რაზმელები ხელს არ ახლებენ იმ მოქალაქეს, რომელიც სამშობლოს ღრმა სიყვარულით და რესპუბლიკის დაცვის სურვილით არის გატაცებული, ხოლო იმ მოქალაქეს, რომელიც კონტრ-რევოლიუციას ემსახურება — რაზმელები იმას ხელს ჩაავლებენ იმისდა მიუხედავად თუ ვინ იქნება ის.

(რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. ეგ არის ჟანდარმერია). დიახ, ბატონებო, თუ ჩემს რესპუბლიკას საფრთხე მოელის და მეცოდინება, რომ ჟანდარმი კი არა ეშმაკი იხსნის მას—მაშინ მე თვით ეშმაკსაც კი ჩავეხუტები (მარჯვნივ სიცილი. ტაში). თქვენ კი რას სჩადიხართ? დღეს შინაგან საქმეთა მინისტრსაც ვერ ენდობით. თქვენ გინდათ საქმის გაკეთება, თითქოს გინდათ საქმის გაკეთება, თითქოს გინდათ კიდეც ასეთი კანონ-პროექტის მიღება, მაგრამ ვერ ენდობით დღევანდელ მინისტრს. და განა არ შეიძლებოდა თავიდანვე გამოგეთქვათ ეს მოსაზრება და არ მიჰყოლ-მოჰყოლოდით რაღაცას და ბოლო დროს მაინც არ სთქვათ ის, რის თქმაც გინდათ.

ამისთვის რა საჭირო იყო იმის თქმა, რომ როდის იქნება ის ბედნიერი დრო, როცა თქვენ ჩამოშორდებით საქართველოს. მე კი უნდა მოგაგონოთ, რომ ჩვენდა საბედნიეროდ ჯერ შორს არის ის უბედური დღე, როცა შეიძლება ჩვენ მართლა ჩამოვშორდეთ ჩვენს სამშობლოს.

რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. ბატონებო! ყოველ ჩემ გამოსვლის შემდეგ უნდა გამოვიდეს უეჭველად ბატონი ლომთათიძე და თავის გაუგებრობით ყველაფერი უნდა აურიოს-დაურიოს, რომ ეს ასეა მან პირდაპირ განაცხადა, რომ ჩემთვის სპეკულიაცია, კონტრ-რევოლიუცია და ძარცვა-გლეჯა ერთი და იგივე არისო და თან მე მდებს ბრალს, გაბაშვილს ამ რაზმის შედგენა თითქოს უნდა და თანაც არ უნდაო. ბატონებო, იმაში კი არ არის დიდი უბედურება, რომ ჩვენ ქვეყანაში სპეკულიაცია სწარმოებს, არა უბედურება იმაშია, რომ თქვენ გავიწყდებათ ერთი რამ: ყოველგვარ „სახელმწიფოს აგება შეიძლება მხოლოდ კანონიერების გზით, რაც ჩვენ გვინდოდა. ჩვენ გვინდა, რომ არსებობდეს ძლიერი სახელმწიფო, თუ თქვენ ეს გინდათ, თქვენ კი ეს უნდა გინდოდეთ, უნდა წახვიდეთ კანონიერების გზით. ჩვენ გვინდა, რომ არ არსებობდნენ სახელმწიფოს დამრღვეველი ელემენტები. თქვენ მათ წინააღმდეგ ბრძოლა არ შეგიძლიანთ. თქვენ თითონ ჰქმნით ამ დამრღვევ ელემენტებს. თქვენ არ შეგიძლიანთ მათი მოსპობა და ვერც შესძლებთ, რადგან თქვენ მაგალითს აძლევთ, უკანონობის მაგალითს. ჩვენ ამის წინაალმდეგნი ვართ. ჩვენ ამ კანონ-პროექტს საერთოდ ვემხრობით თუ ასეთი ინსტრუქცია არ დაერთო და ცვლილება იქნა შეტანილი.

ყოველ მოქალაქემ თუ ბოროტ-მოქმედმა უნდა იცოდეს, რა პირობებში უნდა იყოს ჩაყენებული, რომ უნდა იცოდეს რა დანაშაული თავსდება ამა თუ იმ კანონში. წინაალმდეგ შემთხვევაში საქმე აირევა და ეს იმის ბრალი კი არ არის, რომ გაბაშვილმა არ იცის, გაბაშვილი იურისტი არ არის, არა ბატონებო, თქვენ შეიძლება იურისტები იყვეთ, მაგრამ უკანონობა დააკანონოთ, მე კი უბრალო ელემენტარული წარმოდგენა მაინც მქონდეს კანონიერებაზე. განა იურისტობაა საჭირო იმისთვის, რომ კაცმა ეს შეიგნოს. თქვენ განუსაზღვრელ უფლებას აძლევთ მთავრობის ამა თუ იმ პირს და თუ თქვენ მიანდობთ მან ისე იმოქმედოს ამ კანონის მიხედვით, როგორც მას ესმის, რა თქმა უნდა, უმეტეს შემთხვევაში იგი ბოროტ-მოქმედებას ჩაიდენს. დასასრულ, მე მინდა ვუპასუხო საბჭოს წევრს ლომთათიძეს, რომ მეც ისეთივე მოქალაქე ვარ საქართველოს რესპუბლიკისა, რომელიც მან დაიჩემა, ჩემი სამშობლოო, სთქვა; მეც ისევე ჩავეხუტები ეშმაკს, მაგრამ უნდა ვეცადნეთ, რომ ეს ეშმაკი ისე დავაყენოთ, რომ რაიმე არ იეშმაკოს. მე ეშმაკს ვეტყოდი: „შენ ბატონო ეშმაკო, შენ ამას მოითხოვ, (სიცილი), სხვა ნაირად მოქცევა შეიძლება მხოლოდ ბარბაროსულ ქვეყნებში, რუსეთში ან და ჰოტენტოტებში და არა ისეთ სახელმწიფოში, სადაც არსებობს პარლამენტი. როდესაც თქვენ თითქმის ყველაფერს აცნობოთ ამ საგანგებო რაზმის უფროს თქვენ უნდა უთხრათ: მე რომ ათ მან. ვიყიდო რამე და ოც მან. გავყიდო ეს სპეკულიაცია არ არის. თქვენ უფლებას აძლევთ რაზმის-უფროს ჩათვალოს სპეკულიაცად ის, რაც მას მიაჩნია სპეკულიაციად. რა არის სპეკულიაცია, რა არის კონტრ-რევოლუცია? ჩვენი კონტრ-რევოლუციონური ოპოზიცია იმით განსხვავდება თქვენგან, რომ ჩვენ ვიცავთ კანონიერებას და თქვენ კი უკანონობას.

# პრესის მიმოხილვა.

„ტრუდოვოე ზნამია" სწერს.

„საქართველოს რესპუბლიკის არსებობის საკითხი როგორც სჩანს დამოკიდებულია მთელ რიგ საერთაშორისო ხასიათის საკითხებზე. ამიტომ ამ ჟამად საქართველოს ხელმძღვანელი წრეები უნდა ზრუნავდნენ არა ცენტრთან-მსრბოლ ძალების განვითარებისათვის, არამედ უნდა აწარმოვონ სალი ხაზი მთელ დემოკრატიის გასაერთიანებლად. სიკვდილით დასჯა, საგანგებო რაზმი, გამოუძიებლად და განუსჯელად შეპყრობის სისტემა და პოლიციურ სახელმწიფოს დანარჩენი ატრიბუტები, დღითი დღე აძლიერებენ ოპოზიციას და გზას უხსნიან იმპერალისტურ ძალების ჩარევას რესპუბლიკის საშინაო საქმეებში".

რა თქმა უნდა, საქართველოს კეთილდღეობის საკითხი დამოკიდებულია საერთაშორისო ხასიათის საკითხებზე. ესაა ბედი არა მარტო პატარა, არამედ დიდი სახელმწიფოებისაც. მაგრამ რამდენადაც საქართველო შესძლებს საერთაშორისო ფასის და წონის შენარჩუნებას, იმდენად დღეგრძელი იქნება იგი. მას ყველა ანგარიშს გაუწევს. ამით აიხსნება, რამ საქართველოს კეთილდღეობისთვის მარად მზრუნველი დემოკრატია და დემოკრატიული მთავრობა არავითარ განსაკუთრებულ ზომას არ ერიდება საქართველოს გასაჯანსაღებლად, ანარქიის ჩასაქრობად. ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის მტერთა ორგანოები, „ედინენიე", „ტრუდოვოე ზნამია", „ნაროდნაია სვობოდა" და „სოციალ-დემოკრატი" და იქ მოკალათებულნი კალმოსნები ყოველივე ზომას ღებულობენ საქართველოს დასაუძლურებლად, ანარქიის გასაღვივებლად, რადგან იციან, რომ ამით საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა შეირყევა და ჩვენი სახელმწიფოც დასუსტდება.

* * *

რუსული „სოციალ-დემოკრატ"-ი ეხები საგანგებო რაზმის დაარსებას:

„შესდგა საგანგებო რაზმი სპეკულიაციასთან, ძარცვა-გლეჯასთან და კონტრ-რევოლიუციასთან საბრძოლველად. აზრი რა თქმა უნდა პატივსადებია, მაგრამ ის საშუალებანი, რომლითაც აპირებენ ამის განხორციელებას, მეტად სახიფათოა.

რაზმის ყოველ წევრს უფლება აქვს როცა კი მოისურვებს, შეიპყროს ყოველივე მოქალაქე".

დავამშვიდებთ „სოციალ-დემოკრატს", რომ თუ მას თვით ეს აზრი: კონტრ-რევოლიუციასთან, ძარცვა-გლეჯასთან და სპეკულიაციასთან ბრძოლა—პატივსადებად მიაჩნია,—მის განხორციელებასაც ღირსეულ საშუალებებით შესძლებს საქართველოს დემოკრატიული მთავრობა.

„ბოლშევიკების სამეფოში" ხომ არა ვართ, რომ ყოველივე თავნებობას ფართე გზა მივცეთ! ნუ შეგეშინდებათ. რაზმის ყველა წევრები შინაგან საქმეთა მანისტრის დირექტივებით იმოქმედებენ. მაგრამ ვაი თუ მათ ჰგონიათ, რომ საერთოთ არ უნდა იქნეს ს ა ს ტ ი კ ი ზომები მიღებული კონტრ-რევოლიუციის და ძარცვა-გლეჯის წინაალმდეგ! ეგებ გონიათ, რომ რესპუბლიკამ ხელი უნდა დაიქდოს შეთქმულებათა და სპეკულიაციასთან ბრძოლის საქმეში?

## რუსეთის პრეტენზიები

(„Kaukasische Post"-ის წერილის გამო).

ქართველი ხალხის თვით-შეგნება მეტათ დიდათ აფასებდა საზოგადოთ სამართალს და სამართლიანობას. ვინც ჩაუკვირდება ჩვენ ისტორიას, ხალხის ზნე-ჩვეულებას, ეს მისთვის ცხადი იქნება. ამის შესახებ ტყვილად კი არ ამბობს ჩვენი ხალხი: სიმართლით მოჭრილი თითი არ მეტკინებაო. ასეთი ხალხი ასი წლის განმავლობაში სამშობლო ენაზე საზოგადოთ სამართალს მოკლებული იყო.

საქართველოში ჯარი მუდამ ბევრი იყო, მხოლოდ ეს ჯარი შესდგებოდა არა მკვიდრ მცხოვრებთაგან, არამედ ის იყო ჩამოსული შორეულ რუსეთიდან მაშინ, როდესაც ქართველი ჯარის-კაცები ჩრდილო რუსეთში, ციმბირში და სხვა ამგვარ ადგილებში ასობით იხოცებოდენ სიცივისა, შიმშილისა და სახლ-კარის დაშორებით გამოწვეულ კაეშნისაგან. ვინც კი ბრუნდებოდა უკან სახლში, უმეტეს შემთხვევაში ფიზიკურად დასნეულებული და სულიერად დაბეჩავებული იყო.

იმის შესახებ, თუ რა ტანჯვაში იმყოფებოდა საზოგადოთ სოფელი „კულტუროსან" მოხელეთა მეოხებით, შეიძლებოდა დიდი ტომები დაწერილიყოს.

საქართველოს და კავკასიის ნივთიერად აყვავებისათვის თვითმპყრობელურ რუსეთის მთავრობა არამც თუ შესაფერ ზომებს არ იღებდა, პირიქით წინაალმდეგ იქცეოდა. ამ მხრით მეტათ საყურადღებო მასალებს წარმოადგენენ ბაქოს ნავთის და ჭიათურის მარგანეცის საქმეთა შესწავლა.

აქ მთავრობა ახრჩობდა ყოველგვარ კერძო ინიციატივას და იმავ დროს თვითონ კი არ აკეთებდა იმის მესედსაც, რისიც გაკეთება შეიძლებოდა, რაც სახელმწიფოსათვის საერთოდ და კერძოთ კავკასიისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა.

კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმე მთავრობამ დიდი ხნით შეაფერხა, რადგანაც მისი აზრით ამას სტრატეგიული მნიშვნელობა არ ჰქონდა, მხოლოდ კახეთისათვის, ამ ჩვენი ქვეყნის უმდიდრეს კუთხის საკეთილდღეოთ ზრუნვისათვის მას არ ეცალა.

რომ არ გავაგრძელოთ წერილი, დაწვრილებით არ აღვწერთ იმას, თუ რა განზრახვით გაიყვანეს მუღანში წყლის არხები და სხვა ამგვარ მოქმედებას რუსეთის მთავრობა თუ რატომ ეწეოდა. მხოლოდ მოკლეთ აღვნიშნავთ აქ, რომ მუღანის განოყიერება და სხვა ამგვარი მთავრობის მიერ მიღებული ზომები მარტოოდენ გზა იყო ქვეყნის გარუსებისათვის...

„Kaukasische Post"-ი სწერს წერილის ბოლოში, რომ „მათ (იგულისხმება საქართველოს დამოუკიდებლობის მტერნი) ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ აქ რუსეთის ბატონობას ბოლო მოეღო, ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობენ, ქართველები შეაშინონ და თანაც დაარწმუნონ, რომ გერმანელები აქ მხოლოდ სტუმრად არიან მოსულნი და თავის დღევანდელ მოკავშირეს, საქართველოს, ისევე რუსეთს დაუბრუნებს უკანო. ის, ვინც ამისთანა აზრს ავრცელებს, ვერ მოესწრება ამას. ამნაირ პოლიტიკისათვის საქართველოში უკვე აღარ არსებობს არავითარი ნიადაგი!

„საქართოველო, განაგრძობს გაზეთი, აღარ შეადგენს უკვე რუსეთის საკუთრებას და ვისაც ამაში კიდევ ეჭვი ებადება, მას შეუძლია სულ ახლო მომავალში ამაში დარწმუნდეს.

ასე მოქმედებს გერმანული გაზეთი რუსეთის პრეტენზიების შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის ზრახვა და ლტოლვილება იმაში მდგომარეობს, რომ ის მარად თავისუფალი იყოს ყოველგვარ შევიწროებისა და ახირებულ პრეტენზიებისაგან. დ.

## საყურადღებო განმარტება.

(„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორს.)

ამა 23 მკათათვის № 152 გაზეთ „კავკასკი სლოვოში" მოთავსებული იყო ცნობები სომეხთა ეროვნულ საბჭოს წევრთა თბილისიდან ერევანში მოგზაურობის შესახებ. გაზეთში აღნიშნულია თუ როგორის ყურადღებით შეხვდნენ მათ სადგურ აქსტაფაზე ადერბეიჯანის რესპუბლიკის ადგილობრივი მთავრობის და ოსმალეთის წარმომადგენელნი. ამ ცნობის მოყვანით გაზეთი ესაყვედურება საქართველოს მთავრობას, რომ უკანასკნელმა არამც თუ არ შეასრულა თავის შეპირება ხსენებულ საბჭოს წევრთა მოგზაურობის გაადვილებისა, არამედ სათანადო განკარგულებაც არ მოუხდენიათ მათი მოგზაურობის შესახებ, რის გამო ქართველთა დარაჯებმა საქართველოს საზღვარზე სად. ფოილზე გაჩხრეკაც კი მოუნდომა წევრებს.

ამის გამო გთხოვთ შესაფერი ცნობის მოთავსებით, გაზეთ რესპუბლიკაში გააშუქოთ ეს ფაქტი, და უპირველესად ყოვლისა აღნიშნოთ ისა, რომ საქართველოს მთავრობამ სრულებითაც არ იცოდა თუ როდის აპირებდენ სომეხთა საბჭოს წევრნი წასვლას თბილისიდან, რადგანაც მათ ამის შესახებ არაფერი არ უცნობებიათ საქართველოს მთავრობისათვის, და გარდა ამისა ისინი არამც თუ მთავრობის წარმომადგენლებთან, არამედ არც მთავრობის თავმჯდომარესთან ყოფილან სადარბაზოთ. რასაც მოითხოვდა ელემენტალური მოვალეობის შესრულება; ამ მიზეზების გამო შეუძლებელი იყო რაიმე მათი დახმარება და განკარგულება. გარდა ამისა საჭიროა აღნიშნოთ, რომელი რიგი გაზეთებისა განუწყვეტლად ეწევიან აგიტაციას მთავრობის და საქართველოს დამოუკიდებლობის წინაალმდეგ.

ამისთანავე გაახლებთ „კავკ. სლოვ." № 152.

შინ. სამინ. კანცელარიის განყოფილების უფროსის მაგიერ ვ. მელიქაშვილი.

საქმის მწარმოებლის მაგიერ ა ბ ა შ ი ძ ე.

## შეთანხმება საქართველოს და თერგის ოლქს შუა.

ივლისის 25-ს, 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ივანე ლორთქიფანიძის, გერასიმე მახარაძის და ვლადიმერ ჯუღელის სახით, რომელთაც წარმოადგინეს მანდატი ამა წლის ივლისის 19-ის თარიღით, № 8176, და თერგის ოლქის სახალხო საბჭოს წარმომადგენელნი ფრიც ბულლე, იაკუბ არსანოვი და გაპურ არხიევი, რომელთაც წარმოადგინეს მანდატი ამა წლის ივლისის 25-ის თარიღით № 1628. განვიხილეთ რა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ულტიმატუმი, რომელიც იყო მიღებული ივლისის 23-ს, 1918 წ. № 33, შემდეგი შეთანხმება მოხდა:

1. საქართველოს რესპუბლიკა და თერგის სახალხო კომისართა საბჭო აძლევენ ერთმანეთს სიტყვას, რომ მათ არა აქვთ არავითარი აგრესიული განზრახვანი ურთ-ერთის წინააღმდეგ.

II. რადგანაც თერგის სახალხო კომისართა საბჭომ უკვე გაანთავისუფლა ამბოხების დროს ტყვედ ჩავარდნილი საქართველოს მოქალაქენი—კითხვა ტყვეების შესახებ ჩაითვალოს გადაჭრილად.

III. თერგის სახალხო საბჭო იხმარს ყოველ ძალ-ღონეს და სიტყვას იძლევა, რომ არავითარი შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან საქართველოს რესპუბლიკის მიმართ აგრესიულ მიზნებით, ვისი ხელმძღვანელობითაც არ უნდა იყვნენ ისინი, არ იქნებიან გაშვებული საქ. რესპუბლიკის სამძღვრებისკენ; თავისი მხრივ საქ. რესპუბლიკა ვალად რაცხას თავს 26 ივლისისთვის შუადღემდე თავის ჯარს, რომელიც ეხლა სდგას ლარსში, დაახევინოს თავის ტერიტორიამდე.

IV. იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენი ზარალი მიაყენეს საქართველოს რესპუბლიკას შეიარაღებულმა ჯგუფებმა, რომლებიც თერგის ოლქიდან წამოვიდნენ, სდგება შერეული კომისია პარიტეტულ პრინციპზე ერთის მხრივ საქ. რესპუბლიკის წარმომადგენელთა და მეორეს მხრივ თერგის ოლქის სახალხო კომისართა წარმომადგენელთაგან, და თანაც ეს უკანასკნელნი იღებენ ყოველ ღონეს ამოაჩინონ და დააბრუნონ დატაცებული ქონება, თუ ასეთი იქნება თერგის ოლქში.

V ორივე მხარე მოვალეა უზრუნველჰყოს ყოველგვარი ხიფათისგან საქართველოს სამხედრო გზაზე თავთავიანთ ტერიტორიაზე: საქართველოს რესპუბლიკა იცავს გზას ყოველგვარ ტაცებისაგან თვის საზღვრამდე, ამ საზღვრიდან კავკავამდე კი გზას იცავს თერგის ოლქის სახალხო კომისართა საბჭო.

VI 7 ივნის, 1918 წ. ხელშეკრულების ძალით საქართველოს მიერ ნაყიდი სურსათი, თერგის ოლქის საბჭო ვალად რაცხს თავს ან დაუბრუნოს უკან რესპუბლიკას ან და აუნაზღაუროს ფულით. შემდეგი ურთიერთობანი საქონლის გაცვლის შესახებ უნდა გამოირკვეს განსაკუთრებულ თათბირზე ორივე დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენელთაგან.

VII. კომისია, რომელიც მოხსენებულია მე-4-ხე §-ში, და თათბირი, მოხსენებული მე-4 § ში, უნდა შესდგეს ამა წლის ივლისის 30-ს ქ. კავკავში.

ხელს აწერენ: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები: გზათა და სასურსათო საქმეთა მინისტრი ლორთქიფანიძე, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გ. მახარაძე, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე ვლ. ჯუღელი. თერგის ოლქის სახალხო საბჭოს წარმომადგენლები: ფ. ბულლე, ი. არსანოვი, გ. არხიევი.

სადგური ძველი ლარსი, თერგის ოლქი.

## სტამბოლის კონფერენციის გამო.

გაზ. „სახ. საქმე“ ბეჭდავს წერილს სტამბოლიდან, რომელიც აქ მოგვყავს შემოკლებით.

თვეზე მეტია, რაც ჩვენი დელეგაცია აქ იმყოფება და აქამდის ვერაფერი შევატყობინეთ. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ მოსაწერი არაფერი მქონდა—თითქმის არაფერი გაკეთებულა აქ. საზავო კონფერენცია დღემდის არ შეკრებილა და შეიკრიბება კი?

გაუწყებთ ამ ჟამად მხოლოდ თქვენის თანამშრომლის საუბარს საქართველოს დელეგაციის ერთ-ერთ წევრთან:

ოსმალეთში გამალებული მუშაობა სწარმოებს ევროპიულ ექსპლოატაციასთან საბრძოლველად, სთქვა დელეგატმა.

„ახალგაზრდა ოსმალები“ ჰქმნიან ახალ თეორიას ოსმალეთის სახელმწიფოსათვის: ისლამი არსებითი ელემენტი არ არის ოტტომანთა იმპერიისათვის; ოსმალეთის საფუძველი უნდა იყოს და არის თურქების ნაცია. ნაციონალურ ნიადაგზე უნდა მოხდეს ყველა თურქების გაერთიანება ოსმალეთის იმპერიაში. ადერბეიჯანი კავკასიისა, ადერბეიჯანი სპარსეთისა და თურქესტანი კასპის ზღვის გაღაღმა ბუნებრივი ნაწილია ოსმალეთისა და ისტორიულ და ევროპიელთა უსამართლობას ჩვენთვის ხელთ გამოუგლეჯია. ოსმალეთის თურქებში იბადება იდეა ერთგვარი ისტორიული მესსიანიზმისა.

ბევრი რამ თურქების გეგმისა გერმანელების მიზნებს არ ეთანახმება. ამიტომ ვერ აძერხებს ოსმალეთ-ადერბეიჯანის შეერთებას, სწორედ ამავე მიზეზით გერმანია არ არის თანახმა ოსმალეთმა საქართველო დაიპყროს. გერმანიის პერსპექტივაში შედის ინდოეთის და საერთოდ შუაგული აზია. აქითკენ გერმანიას გზა უნდა. ერთ-ერთი გზა საქართველოა. ამიტომ გერმანია მხარს უჭერს საქართველოს პოლიტიკას, რომელიც ქართველ ხალხის სიმცირისა გამო არასოდეს გერმანიისათვის დამაბრკოლებელი არ იქნება. ამ შორეულ პერსპექტივებს უერთდება მრავალი მოსაზრება მახლობელი პოლიტიკისა.

საქართველო სუსტია, მაგრამ განსაზღვრულ პირობებში მის ძალასაც პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. კავკასიაში, შესაძლოა, საქართველოს ისეთივე ფუნქციები დაეკისროს, როგორც ბალკანეთში და საერთოდ სამხრეთ-აღმოსავლეთის საკითხებში აქვს ავსტრიას, უფრო სწორედ ავსტრიის გერმანელებს. ამიტომ კავკასიის ფედერაციის ან კონფედერაციის აზრი გერმანიის თვალში უარსაყოფი არ არის. ამ იდეას გადაჭრით მხარს უჭერენ აქ ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწენი იმ ანგარიშით, რომ კავკასიის ადერბეიჯანელები აწარმოებენ თურქოფილურ პოლიტიკას და თავის სიმრავლით დაჩრდილავენ საქართველოს პოლიტიკას.

საქართველოს საკითხი ევროპის მსოფლიო პოლიტიკის ერთი პატარა რგოლია. ამიტომ საქართველოს საქმეს ოსმალეთის და საქართველოს შეთანხმება ვერასოდეს ვერ გადასწყვეტს. ბათომის ტრაქტატის ისტორია ჰკუის მასწავლებელია ოსმალეთისათვის. გერმანიის პროტესტის გამო ამ ტრაქტატმა ჩაილურის წყალი დალია.

გერმანია სწყვეტს არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს, არამედ ყველა დეტალებსაც საზღვრების შესახებ. ოსმალეთს უნდოდა კავკასიელ ერების გამიჯვნა მომხდარიყო ადერბეიჯანელების სასარგებლოდ; ოსმალეთს უნდოდა, როგორც ეს ირკვევა ადერბეიჯანის ზოგიერთ წარმომადგენელთა ლაპარაკიდან, საზღვარი გაეტარებინათ თბილისის მაზრაზე, ჩამოეჭრათ საქართველოსთვის ნაწილი ბთილისის და სიღნაღის მაზრისა და მთლად ბორჩალოს მაზრა და ზაქათალის ოლქი. მაგრამ ამ გეგმის გასატარებლად ოსმალეთისაგან განზრახული სტამბოლის კონფერენცია, როგორც ვსთქვი, ვგონებ უკვე იფუშება.

თავის თავად ცხადია, ამ პოლიტიკურ კონსტელაციის მიხედვით დიპლომატიური კვანძი უნდა გახსნილიყო ბერლინში და არა სტამბოლში. სწორედ ასეც ჰხდება. მოლაპარაკება საქართველოს საკითხებზე სწარმოებს ბერლინში და იქ ბერლინის კაბინეთის საშუალებით რუსეთთან და ოსმალეთთან.

სტამბოლში საქართველოს დელეგატებს განსაკუთრებულის ყურადღებით ექცევიან. თითქოს ყველანი გრძნობენ, რომ კავკასიაში სახელმწიფოებრივი გონიერება და შესაძლებლობა მარტო ქართველ ხალხშია. ბულგარეთი ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეა და ალბად ამიტომ ყველაზე მეტი გულწრფელობა ჩვენდამი ბულგარეთს ეტყობაო.

### უცხოეთი.

#### ნორვეგიის ელჩის პროტესტი.

მოსკოვში მყოფ ნორვეგიის საელჩომ რუსეთის გარეშე საქმეთა კომისარიატს პროტესტით მიმართა არხანგელსკში საქონლის რეკვიზიციის გამო, რომელიც „ციმბირის სააქციონერო სავაჭრო-მრეწველობის“ ნორვეგელ საზოგადოებას ეკუთვნოდა.

#### დროშა გემებისათვის.

ბრესტის ხელშეკრულების მუხლის ძალით, რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკის ყველა გემზე, რომელიც ნავთსადგურებიდან სამოგზაუროდ გამოვა, უნდა ააფრიალონ ნაციონალური დროშა, წითელი ფერი ოქროს ან ყვითელი ასოების წარწერით: „რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ-ფედერატიული რესპუბლიკა“. დროშა გერმანიის მიერ აღიარებულია და უზრუნველჰყოფს გემთა თავისუფალ მიმოსვლას.

#### მილიუკოვი კიევში.

უკრაინულ სოც. დემოკ. ცენტრალურ კომიტეტის ორგანო „რობოტნიჩი გაზეთი,“ რომელიც მილიუკოვის კიევში ყოფას იუწყება, სწერს: „რათ ითმენს მთავრობა ამ ვაჟბატონის კიევში ყოფნას და რატომ არ გააძევებს უკრაინის ტერიტორიის საზღვრებიდან თავის სამშობლოში-ო. კადეტთა წრეებში აღნიშნავენ, რომ გაძევება, რომელიც ძალიან საეჭვოა, უსათუოდ გამოიწვევს უკრაინას მთავრობის კრიზისს, რადგანაც მილიუკოვის გაძევების გამო კადეტები მთავრობიდან თავიანთ წევრებს გაიწვევენო.

## ახალი ამბები.

✦ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ნ. ჟორდანია თბილისიდან გაემგზავრა. მის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა ნ. ვ. რამიშვილი.

✦ დამოუკიდებელთა კავშირი. დაარსდა პარტიათა გარეშე მყოფი ქართველების დამოუკიდებელთა პოლიტიკური კავშირი. მიზნად კავშირი ისახავს საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას და მის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას. კავშირს არა აქვს პარტიული პროგრამა. იმას აქვს შემუშავებული მხოლოდ პოლიტიკური პლატფორმა. მისი უმთავრესი მუხლებია: საქართველოში დამოუკიდებელ დემოკრატიული სახელმწიფოებრივი არსებობის დაცვა და განმტკიცება, საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური განვითარება დემოკრატიულ ნიადაგზედ, შემოქმედებითი თეორიული და პრაქტიკული მუშაობა. დასახულ მიზნების განსახორციელებლად კავშირი აწყობს კრებებს, რეფერატებს სხვა და სხვა საჭირბოროტო სახელმწიფოებრივ საკითხებზე; კავშირის საქმეებს განაგებს საბჭო 12 კაცისაგან შემდგარი, სახელდობრ: პროფეს. ივ. ჯავახიშვილი, კონსტანტინე აფხაზი, დუტუ მეგრელი, ივანე აფხაზი, კონსტანტინე ამირეჯიბი, ესტატე მაჩაბელი, გიორგი ჯაფარიძე, ირაკლი გუნცაძე (თავმჯდომარე), გრიგოლ გაბაშვილი, ვახტ. ღამბაშიძე, კონსტ. მაყაშვილი, დავ. კარიჭაშვილი, წევრთა შორის ბევრი საზოგადო მოღვაწენი. არიან, მაგალითად ნ. თავდგირიძე, გეგე მაღალაშვილი და სხვ. დამოუკიდებელთა წარმომადგენელნი ეროვ. საბჭოში არიან კ. აფხაზი და კ. მაყაშვილი.

✦ კახეთის რკინის გზის სამმართველოს წინადადება მიეცა რკინის გზით გადასაყვანად არ მიიღოს ლტოლვილები. გუშინიდან ლტოლვილებს, რომლებიც დარჩენილი არიან ქალაქში, არ ეძლევათ არავითარი სანოვაგე. ყველა ლტოლვილები, იმათ გარდა, რომლებიც მოქალაქეთ ითვლებიან და თავის შრომით ცხოვრობენ, გაიგზავნა მე-300 ვერსზე. მე-300 ვერსზე სასწრაფოთ მოეწყო საავადმყოფო 20 საწოლით. გადამდები სენიანი ავადმყოფები გადაყავთ ქალაქის საავადმყოფოში. სომეხთა ეროვნული საბჭო ლტოლვილთათვის ხსნის საქსოვ ქარხანას.

✦ მთავრობის ბრძანებით გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი ანდრონიკაშვილი განთავისუფლებულია სამხედრო მინისტრის თანაშემწის დროებით ასრულების თანამდებობიდან.

✦ გზათა სამინისტროსთან დაარსდა ტარიფის საქმეთა კომიტეტი და შემუშავდა საბჭოს დებულების პროექტი. განხილული იქნება საკითხი რკინის გზისა და აგრეთვე ახალი გზების გაყვანის შესახებ. პირველ რიგში ტუაფსე-ფოთის რკინის გზის საკითხია.

✦ საქართველოს რესპუბლიკის ბონების პროექტთა კონკურსის ჟიურიმ უარყო ყველა ბროექტები. ფინანსთა, შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრებს ევალებათ შეიმუშავონ კონკურსის ახალი პირობები და დანიშნონ დრო.

✦ უკანასკნელ დღეს ქალაქის საავათმყოფოში ხოლერით ავათმყოფები არ მოუყვანიათ. ხოლერის ნიშნებით—5. ხოლერის განყოფილებაში გადაყვანილია 2. მორჩა—2. გარდაიცვალა 5 ხოლერიანი, 1 ხოლერის ნიშნებიანი. 30 ივლისისთვის სულ იყო 154 ხოლერიანი და 14 ხოლერის ნიშნებიანი.

✦ შტაბზე თავდასხმის განზრახვა. 31 ივლისს, ღამის 1 ს. ვიღაც უცნობებმა განიზრახეს თავდასხმა ქართულ რესპუბლიკის შტაბზე (სასახლის ქუჩა), სადაც ბონები იბეჭდება, გამოწვეულ იქმნენ გორნიზონის უფროსის ბრძანებით ქვეითა ჯარის კაცნი პორუჩ. ნიკოლაძის მეთაურობით, სისხლის სამართლის მილიციის და ქალაქის მილიცის უფროსი. მთელ შტაბს ალყა შემოარტყეს, შეიპყრეს რამდენიმე საეჭვო პირი.

✦ დეპეშა ნ. ნ. ჟორდანიას სახელზე. მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ნ. ჟორდანიამ შემდეგი დეპეშა მიიღო ფოთიდან: „ფინანსთა მინისტრის პატივისაცემად თავმოყრილმა ფოთის სავაჭრო-სამრეწველო წრეების და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლებმა დაადგინეს: თქვენ, როგორც მთავრობის მეთაურს, გამოგიცხადონ თანაგრძნობა და დაპირება, რომ მზად არიან მხარი დაუჭირონ ყველა თქვენ განზრახვებს. ყრილობის თავმჯდომარე თავდგირიძე.

✦ თბილისის კლუბების გამგეობათა კავშირმა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ნება დართონ კლუბები 11 საათის მაგიერ 12 საათზე იხურებოდეს.

✦ შრომის სამინისტრომ დაადგინა, რომ საკითხები, რომელნიც მოსამსახურეებს შეეხებიან სამინისტროს დაუკითხავად არა სწყდებოდეს.

✦ სოხუმის საცდელ სადგურის განკარგულებაში გადაეცა 11.508 მან. მოსამსახურეთა დამატებითი ჯამაგირები დასაკმაყოფილებლად.

✦ თბილისის გარნიზონის უფროსის განკარგულებით შეიპყრეს პრაპ. მალიაცი—მკვლელობისთვის, ცხენოსანთა რაზმის ჯარის-კაცი ი. გოგიაშვილი—საქონლის უდიერათ მოპყრობისათვის, ავიაციონურ რაზმის მსახური ზ. ურაგაშვილი—ვინტოვკის გაყიდვისათვის.

✦ ვაჭრობა - მრეწველობის ნაწილმა აცნობა წვრილ სავაჭრო დაწესებულებათა გამგეობას, რომ ტყვიბულში მოგროვილია აუარებელი ხაჭა ქვანახშირისა, რომელიც შეიძლება დაეთმოს მომხმარებელთ.

✦ წითელი ჯვარის საოლქო გამგეობა 1 აგვისტოდან ხსნის სტაციონალურ საავადმყოფოს.

✦ 30 ივლის ღამე წყლის საზიდ ქუჩაზე 9 შეიარაღებული უცნობი პირი შეიჭრა მიქელიანცის ბინაზე და 5 ათასი მან. ღირებული ნივთეულობა წაიღეს.

✦ ქართულ უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ მთავრობამ თანახმად სახალხო განათლების მინისტრის მოხსენებისა, დაადგინა არჩეულ იქმნას კომისია სახალხო განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით და ქალაქის მოურავის მონაწილეობით. ამ კომისიამ ერთი კვირის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს თვისი დასკვნა.

✦ სასოფლო კომისიას წყნეთიდან ატყობინებენ, რომ იქ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის პროვოკაცია ძლიერდება მთავრობის წინააღმდეგ. კომისია 5 აგვისტოს ჰგზავნის წარმომადგენელს.

— საგარეჯოდან იმავე კომისიას სთხოვენ გაგზავნილ იქმნეს პროპოგანდისტი.

✦ კოოპერატივების რწმუნებულთა კრება 2 აგვისტოს საღ. 6 ს. (სასახლის ქუჩაზე № 5) შესდგება. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) ფულის გადადება უკრაინაში სტაროსელსკის გასაგზავნად, 2) მოხსენება თერგის მთავრობასთან ხელშეკრულობის დადების შესახებ და სხვ. საკითხები.

✦ სეირნობა სასახლის ბაღში. გურიის დამხმარე კომიტეტი საქართველოს ტერიტორიაზე ამბოხებისა და ომისაგან დაზარალებულთ სასარგებლოდ მართავს დიდ სეირნობასა 4 და 5 აგვისტოს სასახლის ბაღში, სეირნობაში მიწვეულია ქართველთა სამხედრო კავშირის ქალვაჟთა გუნდი კომპ. სულხანიშვილის ლოტბარობით.

✦ თბ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა თბ. ქალაქის თვითმართველობის წინაშე, რომ შიოევისეული სახლი თათრის მოედანზე დაუთმოს გამგეობას, სადაც იგი მოაწყობს აუდიტორიას 300 კაცისათვის, სცენას, ბიბლიოთეკას და კლასს წერა-კითხვის უცოდინართათვის.

### წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ „საქართველოს რესპუბლიკა“ში შემდეგი განმარტება.

„Возрожденіе“-ს 20 ივლისის №—ში „гражданинъ Грузинской республики“-ს ხელმოწერით მოყვანილია ცნობები შესახებ კახეთის რკინის გზისა, რომელნიც სიმართლეს ეწინააღმდეგებიან. 14 ივლისს კახეთის რკინის გზის მატარებელს მოუბეს თბილისის სადგურზე სახაზინო რკინის გზის ცალკე სასამსახურო ვაგონი სასურსათო სამინისტროს წარმომადგენლის ბ-ნ დანდუროვისათვის, რომელიც თელავს მიემგზავრებოდა სამინისტროს განკარგულებით. ეს ვაგონი იმდენად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა ტეხნიკური და სანიტარულ მხრივ, რომ მისი გაშვება რკინის გზაზედ შეუძლებელი იყო. ამიტომ კახეთის რკინის გზის ადმინისტრაციამ ბ-მ დანდუროვს ნება დართო გამოეცვალათ სადგურ ნავთლუღზედ ვაგონი და კახეთის რკინის გზის სასამსახურო ვაგონი დაუთმო ბ-ნ დანდუროვს,—ვაგონების გამოცვლამ და გადადგმა—გადმოდგმამ გამოიწვია, მართლაც, მატარებლის დაგვიანება 40 წუთით. რაც შეეხება, კახეთის რკინის გზის კომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ ჯულელს, მისი მონაწილეობა ამ საქმეში სრულებით შემთხვევითი იყო, რადგანაც მას არავითარი თხოვნა ვაგონის მიბმის შესახებ ადმინისტრაციის წინაშე არ აღუძრავს და არც ვაგონი მიბმულა მისთვის.— კახეთის რკინის გზაზედ სასამსახურო ვაგონების მოხმარების წესი არ ირღვევა არც კომიტეტის არც, საზოგადოდ, ცალკე მოსამსახურეთა მიერ.

ბოლოს არ შემიძლია არ გამოვსთქვა ღრმა რწმენა, რომ ამ ძნელ დროში როდესაც ჩვენ სამშობლოს ბევრი რამ მართლაც სერიოზული საქმეები აწევს თავზედ, ასეთი უსაფუძვლო წერილების წერა მატარებლის 40 წამით დაგვიანების შესახებ—ბავშობათ უნდა ჩაითვალოს.

ეხლა ყველას საკმაოდ აქვს სერიოზული სამუშაო და დრო არის დავანებოთ თავი ქართველურ კინკლაობას და პოლემიკობას.

კახეთის რკინის გზის უფროსის მოადგილე ინჟენერი ბ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე.

30 ივლისი 1918 წ.


### განცხადებები

იაკობ თედორეს ძე თედოროვი აცხადებს, რომ მან დაკარგა: ჯარისკაცის წიგნაკი, თავის დედის, ეფროსინე კონდრატეს ასულის თედოროვის სახელზე აღებული პასპორტი, ქ. როსტოვში თავისუფლად წასვლის მოწმობა და მოწმობა მიღებული თფილისის თოფხანიდან. ამ საბუთების მპოვნელი ვალდებულია წარმოადგინოს ის მილიციის სამმართველოში. 25 ივლისი, 1918 წ.

გრიგოლ ალექსის ძე ლაცაბიძე აცხადებს, რომ მან დაკარგა: უვადო პასპორტი, სამხედრო ბეგარის მოწმობა, პიროვნების, მოწმობა ფოტოგრაფიული სურათით და პარტიული საწევრო წიგნაკი.

ზემო აღნიშნული საბუთის მპოვნელი ვალდებულია წარმოადგინოს ის მილიციის სამართველოში. 29 ივლისი, 1918 წ.

მომრიგებელ სასამართლოს მეოთხე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 1918 წ. იანვარში გარდაცვალებულ, მიხეილ სიმონის ძე კელაპტრიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება კელაპტრიშვილის მამულზე I წ. X ტ. 1251 მუხ. ძალით დაწესებულ ვადაში. 10 ივლ. 1918 წ.

სისხლის სამართლის 846, 847, 848, და 851 მუხლის ძალით, თბილისის საოლქო სასამართლოს განმარტებით იძებნება ზინაიდა ვასილის ასული კისელენკო. ნიშნები: ყაზახის ქალია, სად ნოვოდერევიანკინიდგან, ყუბ. ოლქი. 21-22 წლისაა, შუატანისაა, თმები ფერფლის ფერისა აქვს, თვალები ლურჯია, გამხდარი.

ყველა, ვინც იცის, სად ცხოვრობს ზინაიდა კისლენკო, ვალდებულია განაცხადოს სასამართლოში. დაწესებულებანი და კერძო პირნი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება კისლენკოს ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ გადასცენ ის საამეკუნო სამმართველოს. 25 ივლისი, 1918 წ.

ქ. ქუთაისის მომრიგებელი მოსამართლე სამოქალაქო სამართლის 1401 მუხ. ძალით იწვევს გარდაცვალებულ მაქსიმე ჯამანის ძე მელაძის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება მელაძის ქონებაზე კანონთა კრებ. სამოქ. სამართ. I ნაწ. X ტ. 1239 და 1241 მუხ. ძალით დაწესებულ ვადაში.

სოხუმის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე ამ განცხადების დაბეჭვდიდან 6 თვის ვადაში იწვევს გარდაცვალებულ სერგეი სერგეის ძე სპარსკის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავის უფლება სპარსკის ქონებაზე.

მარიამობის თვის 2-ში 1918 წელს თბილისის მაზრის კომისარიატში მიხეილის ქუჩა № 171, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ორი ცხენი. ვისაც ჰსურთ მიიღოს მონაწილეობა ცხენის ვაჭრობაში უნდა მობრძანდეს დილის 12 საათზე.

(2—2)